

K63-187
2

საქართველოს
მუზეუმების
სისტემა

იქმნენ ენციკლოპედია

საქართველოს ენციკლოპედია
МУЗЕЙ Р. С. А. Ц. И. А.

უკრაინის ენციკლოპედია

პირველი

М. 42347

K 2




ბუკარესტი



1926

3

8



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს რესპუბლიკის დედაქალაქი
1992 წლის იანვარი



ყდა ვ. წილოსანის.
ტირაჟი 1000.
მთავლიტი № 525.

პირველი გამოსვლა ამ წიგნისა—1000
ცალი დაიბეჭდა სცამშთლში, ქართულ
კათოლიკეთა შინასცყრში 1922 წ.

ნიკოლოზ მიწიშვილი

უაპი პარსკვლავი

პ რ ე მ ა

გამომცემლობა ქსელი საქართველო
პარიზი/ ტფილისი 1926 წ.

8543658
ქ

Nicollo Mitsichvili.

2-707.

ETOILE NOIRE

565101
2
K1189 028478
3856

CONSTANTINOPLE

MCXXII.



Nicolas Mistrchuli.

ÉTOILE NOIRE

CONSTANTINOPLE
პოლიგრაფტორ. 1-ლი სტამბა.



ძვირფას დას—

5060 ტაბიძის

როცა დაწვევილ ცოდვის ფრინველმა
ცეცხლის სვეტები გადმომაყარა—¹⁾
სულის ჭაობში გამოზრდილ გველმა
უბედურება შემომახარა.

აქედან—ჩემი ხმელი სხეული
ჯვარზე ჰკიდია თვალდახეული
ასე დამჩმდა უბედურება.
ჩემი ვარსკვლავი გახდა წყეული
და ჩემი ლექსი—ბედის მღურება.

მზე ჩემთვის სითბოს აღარ იმეტებს,
დაქცეულია ყველა ხიდები,
გამოვიტირებ ყველა იმედებს
და ეგვიპტეში გავიყიდები.

ნუ გაიხსენებთ ჩემს სახელს ავად:
ბედი დამეცა გლოვის ვარსკვლავად.

ქვეთავი I

„გქონდა სამშობლო საყვარელი და—მიატოვე.
რად გენანება დახლეჩილი შენი თვალები.
გიყვარდა სატრფო და, უღირსმა, სხვას მიათხოვე,—
ბარემ დასთოვე ეგ ცრემლები, განაწვალე.“

შენ გადასთხარე მოგონების ყველა ლერწები
და რა გატირებს უცხო ზღვაში, უცხო აფრაზე.
ეხლა რას უხმობ, ეძახი და ეაღერსები,
როცა იღბალი სამშობლოში შენ გააბრაზე.

ზღვაში იალქნით საკუთარი ჩაუშვი კუბო
და რალას ნანობ გადაუხდელ პანაშვიდებზე.
ნუთუ გგონია შენი გულით ზღვა დააგუბო,
როცა ჰკიდებარ დასახრჩობად ბედის თითებზე.

სოფლის საყდარზე მიატოვე შენი მერცხალი
და, უმაღურმა, დაილოცე შენ ძახთაპირზე.
ეხლა კი ნანობ, რომ ჩაგიდგა თვალებში წყალი
და შენი გული, რომ ფართხალობს მღვრია ნაპირზე“...

ასე აყვილებს წმინდანთან აი სოფია²⁾
და ჯვარმოსხნილი კონსტანტინე ასე მახელებს.
უიმედობა ჩემს თვალებში ჩანასობია,
მაგრამ იმედათ ვეფარები ძვირფას სახელებს...

II

დაჰბერავს ქარი საქართველოდან
და მოგონებას გავყვები ჩქარა—
ასეთი ბედი რად მომელოდა,
რად ავეკიდე კარიდან კარა.

გადამეშლება წარსული დღენი
პოეზია და ცივი თითები.
გადამიარენ ვით ამორძლები
ამბები, ზღვებით განადიდები;

მაწინ გავიწევ ცისკენ ცერებზე,
გავიმართები, გულს გავაქორებ.
და საქართველოს მზიან სერებზე
ცრემლიან თვალებს გადავაგორებ...

III

II

ქარია. სწივა.

ისეთი ზამთარია.

ქარია. ავდარია.

პოეზიას სცივა.

ქუჩაზე მიქრიან

მოღუნული კაცები.

ფიქრია—

მოსატაცები.

ჰყვირიან. იქადიან ტრამვაები.

პოეტები დადიან აბუშული.

სიცივეა. ვაება.

ისევა აფიშა რუსული.

იწყება თეატრები. შესავალთან დიდი ომია
 ვინ მოგებათრება...

ანათებს შორით უცხო სიტყვა—

„გასტრონომია“³⁾.

გალარბდა „ბუენოს აირეს“⁴⁾.

შეიქნა ვაჭარი ჭაერის.

ნუთუ არავინ გაიარს კეთილი.

აღარც ქარს გაეწყო რამე.

გაყინულია კიბეც და კედელი.

საშინელი იქნება ღამე.

სძინავთ ქაშუეთსა და პარლამენტს.

გვიანაა. აწი ვის მოედები.

ვინ გადურჩება ასეთ ამინდს.

ღმერთო—

ჯაათზე პოეტები.

IV

ხელიდან ხელში გადადის გაზეთები,
სადაც მთავრობის სადგომია“).
რა ამბავია ასეთი.

—ოშია.

—ოშია.

—გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს.
ეძახიან ყველას.

ყველას,

რომ თათარი მოადგა ბათუმს.

აჭარას ზარბაზანი ათოვს

და

სამშობლო მოითხოვს შველას.

ისმის სახელები

ჩხენკელი“).

—ბრესტილიტოვსკი“).

—ტროცკი“).

მიფრინავს ტრამვაები. ქუჩები. სახლები

ალარაა ფიქრის დროც კი....

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს.

V

საქართველოსკენ ოცნებაში ყველანი მივჭრით
და ყველას გული სამშობლოთი მოკონილია.
რა არის საქართველო თქვენის ფიქრით—
სინამდვილეა, თუ ტყუილად მოგონილია.
რადღა საქართველო მართო გესლი
და მართო ხიდი,
ან—მისი თესლი
ნათრევი და ხიდზე ნაყიდი.
საქართველო ნისლია და ბურუსი.
ეროვნული სიტყვაა—ლალატი.
რქნება ერეკლემ იძმო რუსი,
რომ ჩაეცვა უცხო ხალათი.
საქართველო უცნაურია
საუკუნეთა დენაში.
იქნებ რუსთაველიც იყო ურია,
რომ გაიქცა პალესტინაში.
რა ვქნათ, რომ საქართველო გვაწუხებს
და ჩასობილია ყველაში.
გვიჭერს სიყვარულის მარწუხებს,
მაგრამ—
ვის უნახავს სამშობლო
საქართველოში.

IV

[Faint, mostly illegible text, likely bleed-through from the reverse side of the page. Phrases are difficult to discern but appear to contain religious or philosophical content.]

VI

რამდენი ღამე მასზე ფიქრით გაგვიტევია
და გვითხრობს ჩვენი ბედი რამდენი ღამე ¹⁰).
როცა საზღვრებში გული ველარ დაგვიტევია,—
დაგვიტევია საკუთარი გულის ბაღლამი.

VII

ჩვენც გვაწამებდა ბერი ქართველი
 შორს ესპანეთში გადაკარგული¹¹).
 ქართველი, მისი გულის მმართველი
 და გული იგი სხვაგან ჩარგული.
 ჩვენც გვაწუხებდა ახალი სიტყვა
 ის „საქანელა და სახრობელა“¹²),
 სადაც ეკიდა მოხრილი კითხვა
 და მომაკვდავი ისმოდა ხველა.
 მეც საქართველო ბევრი ვეძიე
 და ვნახე მხოლოდ ბუნდოვანება.
 მის გამართლებას ვერ დავეწიე,
 მაგრამ სხვას მანც ვერ დავანებე.

VIII

და როცა ვითვლი კბილებს ჩაცვენილს
და შეუძენელს კეთილს ქონებას,
ვხედავ სიცოცხლეს—კუბოდ ჩაწვენილს,
ჩემი ტირილის არ გაგონებას;
როცა ვიგონებ დუელს წაგებულს
და შემოსეულს ნაოქებს თვალთან,
გულს, სიყვარულად გაფარდაგებულს
და მისვენებულს შავ დედოფალთან,—
მინდა იმედი საქართველოთი,
მშობელი ქვეყნის მძლავრი ტბორება...
და ნაცვლად მისა, რასაც ველოდი
ციებიანი დგება ზმორება.
მხოლოდ ფიქრები შორს დარჩენილი
ჩემი ილბალის უხვი წყალობა—
არიან გულზე გადაბჯენილი
და მანუგეშებს მათი გალობა.
ერთია—ფიქრი, ვით აბრეშუმი,
რბილი და თბილი ძმებზე ჩაკრული
და მეორე კი—ყოველთვის ჩუმი
ჩემი წამება თვალგადაკრული.

IX

ყოველთვის, როცა მომენატრება
პოეზია და თქვენი ხსენება,—
დგება ზამთარი წინ ნაადრევი
და ალკას¹³⁾ თეთრი გამოსვენება.
ალკას საფლავზე სხვა მადრიგალი.
კვალად ზამთარში რგვალი მაგიდა¹⁴⁾.
პლანეტარული მწვანე გრიგოლი¹⁵⁾
გადმოდვარული მთვარის ბაკიდან.
გამოკვეთილი მთვარის ქვისაგან
მერიდიანზე რეკავს რეკვიემს—
„ვერვინ დაგვიხსნის დაღუპვისაგან,
და შიში ფიქრებს დაგვარეკიებს...
ქვეყანა იწვის, ქვეყანა კვდება,
მწეს კრილობები შემოესია.
უკანასკნელი ამბავი ხდება—
სივდება მიწა და პოეზია“¹⁶⁾.
ცევ სასტუმროში სუქდება შიში:
ღმერთო ძლიერო და სასწაულო—
გადაარჩინე პოეტთა ჯიში...
დგება პაოლო¹⁷⁾.



...მეცნიერებათა აკადემიის
...მეცნიერებათა აკადემიის
...მეცნიერებათა აკადემიის
...მეცნიერებათა აკადემიის
...მეცნიერებათა აკადემიის
...მეცნიერებათა აკადემიის

X

მაგრამ უეცრად სხვა მოგონება
მოეფარება ფართო მაგიდას,
რომ ააგოროს ჩემი გონება
და სხვა ოცნებას გამოაკიდოს.
მე გამანათებს ზაფხული, სიცხე¹⁶)
და გამოჩნდება უცხო ასული...
სახე—რომელიც ვერ დავივიწყე.
სახელი—გულზე გადარაზული.



XI

მისმა სიუხვემ დამაქცია. დამალარიბა
და შევიქენი მათხოვარი ძვირფასი ხმების.
ეხლა მონა ვარ უსინათლო, უცნობი მეფის
და მანუგეშებს მხოლოდ ქრისტე და სახარება.

რა მენატრება მისი ნახვა. მასთან გარება
და სურნელება უცოდველი. ქალწული თმების.
რომ გაიგონოს ატირება ჩემი რითმების,
მაგრამ იღბალი უფშურია და უკარება.

ნუთუ ჩემზეა მოგონილი ძველი არაკი,
რომ ვაჟი მოკვდა. ასულმა კი სხვა შეიყვარა.
ნუთუ ვერ ვნახავ. ნუთუ ცრემლი ასე იღვარა

და ღვთისმშობელმა არ მიიღო ჩემი ზვარაკი.
იყავნ მშვიდობით. შეგემატოს ლაურას დღენი
და ბეატრიქმ ჩაგაბაროს შენ სამოთხენი.

XII

გაწილებული ჩემი დღეები
დასავლისაკენ ეშურებიან.

ჩამოზურული ცის კუთხეები
წვიმებისაგან აღარ შრებიან.

ნუთუ წამება აღარ მეყოფა.

ნუთუ ცხოვრებამ სულ გაირბინა.

მე ვისი გული გადამეღობა,

ან ჩემი გული ვინ გაიფინა.

ვის დაუშავე, ვის მოვერიე.

ან ვისი ცოდვა ავიღე თავზე:

ჩემი ცხოვრება მწარე მტვერია

და მტვერი—ჩემი თვალებით სავსე

XIII

VIX

არ მყავს არავინ.

ჩავეხვეწე, როგორც ღაბისი.

მწარე დღეები გულს მიღარავენ.

ასე მივდივარ—უდაბნოში თეთრი ტაისი.

მე სიყვარულის დახეული გავხდი წერილი.

უძლური ვარ ჭიანჭველაზე.

არ ვნატრობ შველაზე—

ცხელი უდაბნოს ცხელი ქვიშით ფეხდასერილი.

წამერთვა სიამე.

ასეთი ვარ სიყვარულით ბრმობილი

ყმა, ბატონისგან სხვაზე დათმობილი

და კომლიანი ფუჟი-იამა:

მიკადოს ქვეყანაში უნაზეს ფერებით

ქალები, რომ ხატავენ, მოფერებით.

XIV

სადა ხართ, ძმებო. ბრმა ამხანაგი
ვით დაიღუპოს ადრე და მალე.
რად მომეშალოს თქვენი ბანაკი.
ბედნიერებავ, სად დაიმაღე.
იქნებ, ძარღვებში სისხლის მაგიერ
მართლა ვაება მქონდა ჩაცრილი.
იქნებ ჩემი გზა სიუშმაკეა
დაბადებიდან თვალზე აცრილი¹¹).
მაშ სიუვარულმა ჩემი ტრირემა,
რად დაარღვია და გააფინა.
ედელვასისი. დიანა. ფრინა,
თუთიყუში და წარბი ირემის
რად მომაშორა, რად გააფრინა...

XV

კიდევ გადავშლი. გადავშლი კიდევ
 განიავებულ დღეთა ფურცლებსა.
 ვით გავეკიდე განწირულ წლებსა
 და უფსკრულებზე გადავეკიდე.
 თუ, როგორ პოეტს და კათოლიკეს²⁰)
 მივართვი ლექსი ფეხაუდგმელი.
 შემდეგ ქარებმა როგორ დალეკეს
 სიყვარული და სიტყვა უთქმელი.
 თუ, როგორ, შემდეგ, გულის ფიცარზე
 გადაშენება მან დამაწერა ²¹).
 როგორ მაფიცა დასაფიცავზე
 და გამილარა გზა—ალმაცერა.
 ან, ბროწეულის სიტყვათა წყარო
 თეთრ ღამეებზე გადაღვარული.
 ძმაო, ძვირფასო, დაუვიწყარო... ²²).
 პოეზია და ზღვა სიყვარული...
 თუნდა აავსოს ზღვამ დარიალი...
 თერგის ყვილი მთამ გააჩეროს—
 აქნები მუდამ შენ ტარიელი
 და მეგობრობის დააფენ ჩეროს.
 მაგრამ პოეტმა რვალის თვალისმა ²³).
 შეგაკო ლექსით ვერცხლის მქონეთი.
 ასე დააცხრა თუჯს ფალკონეთი ²⁴).
 ასე ატირა ცა—ნოვალისმა
 და ჩემი ლექსის სუსტმა ალიზმა,
 ვით დაიკვებოს შოთას ღონეთი.

XVI

საქართველოში არ ყოფილა არც ერთი მეფე
და საქართველო ზღაპარია შოთას გარეშე.
ვის გააგონოს საქართველომ ტირილის ხმები.
ვინ დაინახოს ჩვენი ბედის უღვეთო თარეში.
დიდი დავითი. თამარი და კახთა ბატონი.
მოურავი და სოლომონის გამრისხანება.
გრემი. იყალთო. სიონი და წმიდა ათონი.
ქართლის ძუძუსზე დაწრეტილი თათრის ხანები,—
მათ ხსენებაზე დავიწყება დაიბანაკებს.
ეგ, ყველაფერი უმზეო და უსაბუთოა:
საქართველოს ბედს შოთა—ღმერთი მარტო განაგებს.
მარადისობა საქართველოს მან დაუტოვა.

IIVX

და როცა ქართლი სასიკვდილოთ დაისუდრება
და მის გონებას მოაწვება ცხელი ანთება,
როცა ივერი გასახშობად გაიფუთრება
და მისი ჯიში ქვეყნით-ქვეყნად გაიფანტება,—
მაშინ ქვეყანა მართო შოთას გაახსენდება,
ანაფორაში, ის დადგება უფლის წინაშე.
საქართველოდან მოწყვეტილი ის აენტება
და—საქართველოს გაანათებს პალესტინაში.
რუსთველის ხატთან მე ვაგდივარ ხელგაბარული
და უკვდავ სახეს, გაძარცული, მე ვევედრები:
მიიღე გული, სიყვარულით გადაბასრული
უფალო ჩემო, შენს სიყვარულს ვინ შეედრება.
შემდეგ შევფიცავ პოეტების მაღალ სიაზე
უფლის ბაღიდან, რომ დასწურეს შხამი მტკვნები.
ვილოცავ მათზე. ავტირდები პოეზიაზე
და, ნატირალი, კვლავ სიყვარულს დავედევნები.

XX XIX — IIIVX

XVII

მე ავაშენე სიყვარულის უცხო ტაძარი.
მაგრამ ტაძარში არ ისვენებს წმიდა სამება.
იქ, წიფლის ჯვარზე გარჩენილა ქრისტეს წამება.
იქ სიცივეა და ტირილი გულშესაზარი.

საშინელებით მემუქრება მე ვალტასარი.
მიახლოვდება უნახავი რამ დაღამება.
ვერ მოვასწარი თვალის დროზე დახამხამება,—
ისე ჩაიქცა ჩემი გული, ნალაზღაზარი.

გატეხილ ღამით მესიზმრება შენი სიზმარი,
თითქოს შევიქენ შემწირველი მაღალ ტიბეთის.
უცბად აღსრულდა დაპირება უწყალო ბედის—
დავეცი კლდეზე და სიკვდილით გადავიზმორე.

შენ ზიარებად შემასმევდი სისხლიან ღვინოს,
რომ სიყვარულმა ლურჯ ძარღვებში დაიჭიხვინოს.

XVIII — XIX — XX

XXI

თვალწინ მიდგია დაბინდული, წყნარი სიონი.
და ნინოს ჯვართან სათნობა-პოეტებისა²⁵).
ინისლებოდა იმ საღამოს დარი მზიანი
და ცივდებოდა შორეული სახე მთებისა.
მოიხსენია ჩემი სული, ცდომილი ერთმა.
მეორემ ჩემთვის დაილოცა წმიდა ნინოზე.
ცოცხალი სისხლი დამაწვეთა იესოს ფერდმა
და გავიგონე ხმა, უტკბესი ძველ ნანინაზე.

განვლო დღეებმა. დავიღალე. ვნახე ზიანი,
მაგრამ დალოცვა მაცოცხლებდა პოეტებისა.
ვიცი, რომ ღმერთთან ლექსი ხიდად გაიდებისა
და უფალი, ხომ პოეტია, თავაზიანი.
ვიცი, რომ ყველგან, პოეზიის მაღალ წირვაზე
იმედისა და გამარჯვების უხვი თვალია.
და როცა ღმერთიც პოეტებში ჩასათვალია,—
ვინ გაიფიქროს ღვთის გულიდან ამოძირვაზე.
ეხლაც სიზმარში მეჩვენება ორი პოეტი.
მათი სანთელი. დაბინდული. წყნარი სიონი.
კვლავ მიბრუნდება სიყვარული დარბაზიანი
და ვიმართები, მოღვედილი სიმართოეთი.
კეთილო ძმანო, შევიქენი თქვენი მოვალე.
უკანასკნელად თქვენის ხელით მე ვეზიარე.
თქვენს ხსენებაში ეგ რითმები მე გამოვალე
და თქვენი კუბოც უნდა იქნეს ჩემი ზიარი.
შრიალებს შორით სიხარული, გადაკარგული
და მოსჩანს გზები—სონეტებით გადაკარგული.

IXX

XXII

თქვენ იცით კოჭლი გული ბარათაშვილის—

ყორანმა, რომ დაჰხია ჩხავილით?

ბედი უსაშველო,

რომ იწყება რუსთაველით...

წმინდანთანა შესჭამა ედგარი

და შემდეგ ნიკოლოზი.

ორი გული, სიყვარულით ანაფეთქარი

ორი კოლოხსი ²⁶).

და მე ვფიქრობ:

ხომ შესჭამა ყორანმა ბარათაშვილი

და სიმალღე ედგარის შუბლის...

მომეც მე საშველი.

იყავნ ჩემზე კურთხევა უფლის.

ღმერთო—

უშველე შენს მონას ნიკოლოს,

რომ არ მოკვდეს.

არ დაეცეს.

არ ჩაიქოლოს.

ღმერთო.

შენიშვნები

1. ჩენი ლექსი „წმინდანანი“. წყეული ფრინველი. ეშპაკეული. სიმბოლო უბედურებისა და „ნევერმორი“-ს.
2. ლექსი დაწერილია სტამბოლში, აია-სოფიას ქვეშ.
3. გასტრონომიული მალაზია ტფილისში რუსთაველის თეატრის წინ, სადაც პოეტებს გვენდობოდენ.
4. „ბუნოს-აირეს“—იმგვარივე დაწესებულება.
5. სასახლე ტფილისში. ყოფილი პარლამენტი.
6. სასახლესთან, როცა ომი იყო თათრების 1918 წელს.
7. ტრაპეზონის დელეგაციის თავმჯდომარე, რომელიც ელაპარაკებოდა თათრებს.
8. ზავი ბრესტ-ლიტოვსკში.
9. ტროცკი. თავმჯდომარე რუსეთის დელეგაციისა, რომელმაც ხელი მოაწერა ბრესტის ზავს.
10. სალამოები „ცისფერი ყანწების“, სადაც საუბარი იყო საქართველოს შესახებ.
11. იოანე მთაწმინდელი. ქართველი პატრიოტი. წავიდა ათონს. გარდაიცვალა ესპანეთს.
12. „საქანელა და სახჩობელა“—გრ. რობაქიძის წერილი „ბარკადა“-ში. დაყენება საქართველოს პრობლემის.
13. გრ. რობაქიძის შვილი, რომელიც გაასვენა ქართველ პოეტებმა.
14. ჩენი კრებები სასტუმრო „კავკაზ“-ში. (ტფილისი) ტიციან ტაბიძის ბინაზე. კამათი პოეზიისა და ქვეყნის კრიზისის შესახებ.
15. გრ. რობაქიძე.

16. მისი თემა: გათავება პოეზიის.
17. პოეტი პაოლო იაშვილი.
18. 1921 წელი.
19. ტიციან ტაბიძის სიტყვა ჩემს შესახებ: „იუდა, აზნაურო, მაკიაველი“.
20. პოეტი ვალერიან გაფრინდაშვილი, რომელმაც წაიკითხა ჩემი პირველი ლექსი. ერთ კრიტიკულ წერილში მე მას დავარქვე კათოლიკური აბბატი. ყველა ახალგაზდა პოეტი მიდის მასთან აღსარებით.
21. მისი დახასიათება ჩემი პოეზიის, როგორც გადაშენების და გადაგვარების.
22. ალი არსენიშვილი. მისი დაუფიქსარი სიტყვები პოეზიაზე—„ცისფერი ყანწების“ ინტიმურ კრებებზე. ამ წიგნის სახელი— „შავი ვარსკვლავი“ ეკუთვნის ალი არსენიშვილს.
23. პოეტი პაოლო იაშვილი. მისი ცნობილი ლექსი: „ალი არსენიშვილს“.
24. ფალკონეტი—იტალიელი მოქანდაკე. ავტორი პეტრე დიდის ძეგლის პეტერბურგში (ლენინგრადი).
25. პოეტები—ტიციან ტაბიძე და გიორგი ლეონიძე. სიონის ტაძარში მათ დაანთეს სანთელი ჩემი სულის მოსახსენებლად.
26. ნიკოლოზ ბარათაშვილი და ედგარ პოე. ორი თემა „ყორანის“, რომელიც მეჩვენება მე წმინდანინად.

ი 922/455



ნიკოლოზ მიწიშვილი

- „წმინდანინი“ — წიგნი ლექსების. მეორე გამოცემა.
- „შავი ვარსკვლავი“ — პოემა. მეორე გამოცემა.
- „გარდაცვალება“ — პოემა. 1926 წ.
- „ქართველი პოეტები“ — ლექსები რუსულად გამოც. 1922 წ.

ბამოკვა მოკლე ხანები:

„თებერვალი“ — ეპოპეია ოთხ ნაწილად.

შპს ათი შპს

